საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-56

23/01/2020

ქ. თბილისი

“ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნის“ მდინარე ნატანებზე 9.085 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ნატანები 3 ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ”

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, “ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნის“ მდინარე ნატანებზე 9.085 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ნატანები 3 ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N3 (15.01.2020 წ.).
2. შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N3 (15.01.2020 წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად.
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნს“.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი